



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**  
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

**დამტკიცებულია**  
 სტუ-ს აკადემიური  
 საბჭოს  
 2014 წლის 22 სექტემბრის  
 № 1270 დადგენილებით

**მოდიფიცირებულია**  
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
 2021 წლის 29 ივლისის  
 № 01-05-04/106 დადგენილებით

## მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

საჯარო მმართველობა

**Public Administration**

### ფაკულტეტი

ბიზნესტექნოლოგიები

Faculty of Business Technology

### პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი გენადი იაშვილი

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საჯარო მმართველობის მაგისტრი (Master of Public Administration MBA) მიენიჭება მაგისტრატურის წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

### სწავლების ენა

რუსული

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა „საჯარო მმართველობის საფუძვლები“). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://gtu.ge/Study-Dep/> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვასამაგისტრო გამოცდებისგავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

### პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და

მოიცავს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტი - 90 კრედიტი, მათ შორის არჩევითი სასწავლო კურსები - 4 კრედიტი, კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი, რომელიც მოიცავს - სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვას.

სასწავლო პროცესი გაწერილია შემდეგი სახით: სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა. აქედან, ერთი კვირა ეთმობა შუასემესტრულ გამოცდა. XVII კვირა ეთმობა დასკვნითი გამოცდისათვის მზადებას, XVIII–XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. XX კვირა, საჭიროების შემთხვევაში, ეთმობა დამატებით გამოცდას.

**პირველი სემესტრი** მოიცავს შვიდ სავალდებულო სასწავლო კურსს (ორი 5 კრედიტი, ხუთი 4 კრედიტი),

**მეორე სემესტრი** მოიცავს ექვს სავალდებულო სასწავლო კურსს (ოთხი 5 და ერთი - 6 კრედიტი) და ერთ არჩევით (4 კრედიტი) სასწავლო კურსს (ოთხი სასწავლო კურსიდან სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს).

**მესამე სემესტრი** მოიცავს ხუთ სავალდებულო 6 კრედიტიან სასწავლო კურსს.

**მეოთხე სემესტრში** მაგისტრანტი ასრულებს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი.

ბრძანებას მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების შესახებ გამოსცემს დეკანი მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმის შესაბამისად.

შუალედური შეფასების მაქსიმალური ჯამური შეფასებაა 60 ქულა, აქედან: შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 30 ქულას. მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა - 30. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა - 40, მინიმალური დადებითი ქულაა - 21.

დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) საჯარო დაცვაზე.

დეტალური ინფორმაცია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე: <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php>

## პროგრამის მიზანი

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებსაც საშუალება ექნებათ დასაქმდნენ საჯარო სამსახურში, ასევე მმართველობითი სფეროს სხვა რგოლებში. ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს სტუდენტებს მართვის მეთოდოლოგია, მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მიღწევები მმართველობით სფეროში. საშუალება მისცეს მათ მეცნიერ-პედაგოგთა და პრაქტიკოსთა დახმარებითა და კონსულტაციებით ძირფესვიანად გაეცნონ და აითვისონ სხვადასხვა მმართველობითი დონეებისათვის დამახასიათებელი სისტემები, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების, ანალიზის, სტრატეგიული და კალენდარული დაგეგმვის თავისებურებები და ტექნოლოგიები.

## სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

**ცოდნა და გაცნობიერება** - ფლობს საჯარო სამსახურის სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას. შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება ახალი, ორიგინალური იდეებისა და წინადადებების გენერირებისათვის, კარგად აქვს გაცნობიერებული სფეროს პრობლემები და გამოწვევები, მათი გადაჭრის ოპტიმალური გზები.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - შეუძლია მიუჩვეველ და არაორდინალურ გარემოში სწორი ორიენტირება. მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება. სისტემის მახასიათებლების ანალიზი დამოუკიდებელი კვლევის საშუალებით.

აქვს დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის, შესაბამისი დროითი ჩარჩოების დადგენისა და სამუშაოთა შესრულების გრაფიკების შედგენის უნარი; სტრატეგიული და მიმდინარე დაგეგმვის პრინციპების ცოდნა და პრაქტიკულ საქმიანობაში

გამოყენება. საჯარო მმართველობის სფეროში არსებულ კვლევითი და მეცნიერული მიღწევების ცოდნა და მისი ანალიზის უნარი; თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი. არაორდინალურ გარემოში ოპერატიულად მოქმედების უნარ-ჩვევები; ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტისათვის, კანონშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობისათვის მზადყოფნა.

**დასკვნის უნარი** – შეუძლია სისტემაში მიმდინარე მოვლენების, პროცესების ანალიზი და სათანადო დასკვნების შემუშავება, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და ანალიზი. საჭირო გადაწყვეტილებების პროექტების შემუშავება და ექსპერტიზა; პრაქტიკაში ინოვაციური მენეჯმენტის პრინციპების გამოყენება; გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და საჭიროების შემთვევაში ცვლილებათა შეტანა და/ან კორექტირება. რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;

**კომუნიკაციის უნარი** – შეუძლია კოლეგებთან, საზოგადოებასთან, პროფესიონალებთან და დაინტერესებულ პირებთან მოსაზრებების თავისუფალი გაზიარება, არგუმენტირებულად და მიზანმიმართულად. კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა ფართოდ გამოყენები; საქმიანი დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერა. დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება; მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაცია; ნებისმიერ სივრცეში ( ორგანიზაციის შიგნით და გარეთ, სამეცნიერო წრეებსა და ფართო საზოგადოებაში) კომუნიკაცია;საჯარო გამოსვლა;

**სწავლის უნარი** – შეუძლია დამოუკიდებელი სწავლა, დაოსტატება, მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპების განხორციელება. საკუთარი დღის წესრიგის უნარიანი დაგეგმვა.

უნარი აქვს თავად აირჩიოს სწავლის გაგრძელების შემდგომი ადგილი და მიმართულება; ცნობიერებაში ჩამოიყალიბოს ცოდნის ადეკვატურად მიღების პრინციპები და მეთოდები; ცხოვრების სტილად აქციოს „მუდმივი სწავლის“ პრინციპები; სწავლა განაგრძოს უფრო მაღალი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

**ღირებულებები** – შეუძლია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და დემოკრატიული თანაცხოვრებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

შეუძლია ერთგულება დემოკრატიული პრინციპებისადმი; ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების პატივისცემა; კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის მიღწევისათვის მუდმივი შრომა; პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა;

## სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული  ლაბორატორიული  პრაქტიკა

საკურსო სამუშაო/პროექტი  სამაგისტრო ნაშრომი  კონსულტაცია  დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

**დისკუსია/დებატები**

**ჯგუფური (collaborative) მუშაობა**

**შემთხვევების შესწავლა (Case study)**

**გონებრივი იერიში (Brain storming)**

**როლური და სიტუაციური თამაშები**

**დემონსტრირება**

**ინდუქციუა**

**დედუქცია**

**ანალიზი**

**სინთეზი**

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა.

კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე [http://gtu.ge/pdf/magistraturis\\_danarti\\_4\\_Sefasebis\\_wesi.pdf](http://gtu.ge/pdf/magistraturis_danarti_4_Sefasebis_wesi.pdf)

## დასაქმების სფერო

სახელისუფლო სტრუქტურები და სხვა საჯარო დაწესებულებები;  
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და დაწესებულებები;  
მმართველობითი პოზიციები საკუთრების ნებისმიერი ფორმის ორგანიზაციაში;  
საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები.

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 24

## პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დამკვეთის წინაპირობა	ECTS კრედიტი				
			I წელი		II წელი		
			სემესტრი				
			I	II	III	IV	
1	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური)	არ აქვს	5				
	ბიზნეს კომუნიკაცია (გერმანული)						
	ბიზნეს კომუნიკაცია ფრანგული)						
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)			5			
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და						

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
	პრაქტიკა (გერმანული) დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	არ აქვს				
3	საქმიანი მოლაპარაკების თანამედროვე ტექნოლოგიები	არ აქვს	5			
4	საზოგადოებრივი ურთიერთობები და პოლიტიკა	არ აქვს	4			
5	სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები	არ აქვს	4			
6	ადმინისტრაციული მენეჯმენტი	არ აქვს	4			
7	მდგრადი განვითარების თანამედროვე სტრატეგიები	არ აქვს	4			
8	სამოქალაქო საზოგადოება და თანამედროვე დემოკრატია	არ აქვს	4			
9	სტატისტიკა სახელმწიფო მართვაში	სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები		5		
10	საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგიები	არ აქვს		5		
11	ელექტრონული მთავრობა – შიდა სახელისუფლებო პროცესების რეინჟინერინგი	არ აქვს		5		
12	მართვის თანამედროვე მეთოდები ადგილობრივ ორგანოებში	არ აქვს		6		
13	სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში	არ აქვს			6	
14	სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის მიღწევის თანამედროვე სისტემები	სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები			6	
15	ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემები	არ აქვს			6	
16	კვლევის მეთოდები	არ აქვს			6	
17	სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი	არ აქვს			6	
	<b>არჩევითი საგნები</b>					
17.1	საარჩევნო სისტემა და კანონმდებლობა	არ აქვს				
17.2	მომსახურების მენეჯმენტი	არ აქვს		4		
17.3	სოციალური პოლიტიკა	არ აქვს				
	<b>სულ</b>			<b>90</b>		-
<b>კვლევითი კომპონენტი</b>						

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	სავალდებულო სასწავლო კურსები				30	
<b>სულ სემესტრში</b>		<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	
<b>სულ წელიწადში</b>		<b>60</b>		<b>60</b>		
<b>სულ</b>		<b>120</b>				

### სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური)	x	x		x	x	x
	ბიზნეს კომუნიკაცია (გერმანული)	x	x		x	x	x
	ბიზნეს კომუნიკაცია (ფრანგული)	x	x		x	x	x
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	x	x		x		
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	x	x		x		
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	x	x		x		
3	საქმიანი მოლაპარაკების თანამედროვე ტექნოლოგიები	x	x		x		x
4	საზოგადოებრივი ურთიერთობები და პოლიტიკა	x	x		x	x	x
5	სტატისტიკა სახელმწიფო მართვაში	x	x	x			
6	სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები	x	x	x	x	x	x
7	სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში	x	x	x			
8	სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის მიღწევის თანამედროვე სისტემები	x	x		x	x	x
9	საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგიები	x	x		x		x
10	ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემები	x	x	x	x		x
11	ელექტრონული მთავრობა – შიდა სახელისუფლებო პროცესების რეინჟინერინგი	x	x		x		x
12	კვლევის მეთოდები	x	x		x		x
13	სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი	x		x			x
14	მართვის თანამედროვე მეთოდები ადგილობრივ ორგანოებში	x	x	x	x		x
15	ადმინისტრაციული მენეჯმენტი	x	x	x	x	x	x

16	მდგრადი განვითარების თანამედროვე სტრატეგიები	X	X		X		X
<b>არჩევითი საგნები</b>							
17.1	საარჩევნო სისტემა და კანონმდებლობა	X	X		X	X	X
17.2	მომსახურების მენეჯმენტი	X	X		X		
17.3	სოციალური პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
<b>კვლევითი კომპონენტი:</b>							
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	X	X	X	X	X	X

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო	სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	LEH17113R2-P	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური)	5/125			45					1	1	78
	LEH17213R2-P	ბიზნეს კომუნიკაცია (გერმანული)	5/125			45					1	1	78
	LEH16913R2-P	ბიზნეს კომუნიკაცია (ფრანგული)	5/125			45					1	1	78
2	LEH17013R2-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5/125	15		30					2	1	77
	LEH17313R2-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	5/125	15		30					2	1	77
	LEH17413R2-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	5/125	15		30					2	1	77
3	BUA86913R1-LS	საქმიანი მოლაპარაკების თანამედროვე ტექნოლოგიები	5/125	30	15						1	1	78
4	BUA86413R1-LS	საზოგადოებრივი ურთიერთობები და პოლიტიკა	4/100	15	15						1	1	68
5	BUA85913R1-LS	სახელმწიფო მართვის აქტუალური პრობლემები	4/100	15	15						1	1	68
6	BUA85813R1-LS	ადმინისტრაციული მენეჯმენტი	4/100	15	15						2	2	66
7	BUA86813R1-LS	მდგრადი განვითარების თანამედროვე სტრატეგიები	4/100	15	15						2	2	66
8	BUA86013R1-LS	სამოქალაქო საზოგადოება და თანამედროვე დემოკრატია	4/100	15	15						1	1	68
9	BUA87313R1-LP	სტატისტიკა სახელმწიფო მართვაში	5/125	15	30						1	1	78
10	BUA87013R1-LP	საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგიები	5/125	15		30					1	1	78
11	BUA87513R1-LP	ელექტრონული მთავრობა – შიდა სახელისუფლებო პროცესების რეინჟინერინგი	5/125	15		30					2	2	76

12	BUA86613R1-LS	მართვის თანამედროვე მეთოდები ადგილობრივ ორგანოებში	6/150	30	30					1	1	88
13	BUA87413R1-LS	სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში	6/150	30	30					2	2	86
14	BUA86713R1-LSP	სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის მიღწევის თანამედროვე სისტემები	6/150	30	15	15				1	1	88
15	BUA86513R1-LS	ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემები	6/150	30	30					1	1	88
16	BUA86313R1-LS	კვლევის მეთოდები	6/150	30	30					1	1	88
17	BUA87213R1-LS	სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელების შედარებითი ანალიზი	6/150	30	30					1	1	88
17.1	BUA86113R1-LP	საარჩევნო სისტემა და კანონმდებლობა	4/100	15	15					1	1	68
17.2	BUA86213R1-LS	მომსახურების მენეჯმენტი	4/100	15	15					2	2	66
17.3	BUA87113R1-LP	სოციალური პოლიტიკა	4/100	15		15				2	2	66

პროგრამის ხელმძღვანელი

გენადი იაშვილი

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო ჩიკვილაძე

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

დავით მახვილაძე

**მიღებულია**

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 07.07.2014წ. ოქმი №13  
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

**მოდიფიცირებულია**

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 23.07.2021წ. ოქმი №7

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე